# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№10 (29) 2013


# TEMPUS-ის პროგრამით თსუ-ს 11 პროექტი დაფინანსდა




***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კვლავ ლიდერი უნივერსიტეტია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. TEMPUS-ის პროგრამით მთელი ქვეყნის მასშტაბით 19 პროექტი დაფინანსდა, რომელშიც 22 ქართული უნივერსიტეტია ჩართული. „19 პროექტიდან 11 პროექტი თსუ-ს დაუფინანსდა, სტუ-ს - 7 პროექტი, ილიაუნს - 6 პროექტი, ბათუმის საზღვაო აკადემიას - 2 პროექტი და სხვა. რაოდენობრივთან ერთად აღსანიშნავია ხარისხობრივი მაჩვენებელი: ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს მხოლოდ ორი წლის წინ მიეცათ საშუალება ყოფილიყვნენ პროექტის კოორდინატორები. თსუ უკვე სამი პროგრამის კოორდინატორია.***

ტემპუსი ევროკავშირის დონორი პროგრამაა, რომელიც გულისხმობს ინსტიტუციურ თანამშრომლობას უნივერსიტეტებს შორის ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებში. საქართველო ტემპუსის პროექტებში 1995 წლიდან მონაწილეობს და მის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის პროექტების განსახორციელებლად მილიონობით ევროა გამოყოფილი. ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელის ლიკა ღლონტის განცხადებით: “ეს არის საქართველოში არსებული ხელმისაწვდომი ერთადერთი დონორი

***გაგრძელება მე-2 გვ.***

# საბავშვო უნივერსიტეტი – სიახლეები მოსწავლეებისთვის

მე ვარ თიკო კუპრაძე, ვსწავლობ 182 სკოლაში. ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში იმიტომ მოვედი, რომ გავცნობოდი ეკონომიკის ფაკულტეტს, რადგან შემდგომში მსურს სწავლა გავაგრძელო ამ უნივერსიტეტში და ამ ფაკულტეტზე. ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში ყველაზე მეტად მომეწონა ლექციები მიკროეკონომიკაზე, რაც ძალიან საინტერესო იყო პირადად ჩემთვის. წერს თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტი 182 სკოლის მოსწავლე თიკო კუპრაძე. იგი ერთ-ერთია იმ ასობით ბავშვიდან, რომლებმაც ცოდნა სხვადასხვა საგანში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტში გაიღრმავეს. ოქტომბერში „საბავშვო უნივერსიტეტმა“ ახალი სასწავლო წელი დაიწყო.



***ნორჩ ეკონომისტთა სკოლის მსმენელები***

16 ოქტომბერს რუსთავის საბავშვო უნივერსიტეტის სკოლაში შედგა პირველი ლექცია მოსწავლეებისთვის. შეხვედრას 200-მდე მოსწავლე დაესწრო. დამსწრეთა რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თსუ რექტორის მრჩეველი, საბავშვო უნივერსიტეტის კოორდინატორი მარინა ლომოური ამბობს, რომ ამის გამო ჯგუფის სამ ნაწილად დაყოფა გახდა საჭირო. რუსთაველ მოსწავლეებს ასტრონომიის შესახებ ლექცია ჩაუტარეს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორმა შალვა საბაშვილმა, ხოლო ხელოვნების ისტორიის შესახებ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა. საბავშვო უნივერსიტეტის პროგრამების კოორდინატორმა გიორგი გრიგოლაშვილმა კი სკოლის მოსწავლეებთან ერთად განიხილა ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რაც მოზარდებისთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

19 ოქტომბერს სეზონი განაახლა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ნორჩ ეკონომისტთა სკოლამაც. პირველი ლექცია

***გაგრძელება მე-3 გვ.***

# „თსუ სტუდენტური მეცნიერება“ №1




„ჰიდროთერმები – „შავი და თეთრი მბოლავები“ და წყალქვეშა „ოაზისები“; გლობალიზაციის გავლენა სოციალურ კაპიტალზე; უმუშევრობის პრობლემა საქართველოსა და მსოფლიოში; უტილიტარიზმი საწყისებიდან დღევანდელობამდე; „სუსტი“ მხარის დაცვის პრობლემა შრომით სამართალში; იდეალური ემისიები და მათი დასაბუთების პრობლემატიკა აშშ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით; ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ეკონომიკური შეფასება; „მომავლის რეგიონის“ – ერთიანი და სტაბილური სამხრეთ კავკასია; სტიგმატიზაცია: უარყოფითი შედეგები და დაძლევის გზები; – ამ და ბევრი სხვა საინტერესო სამეცნიერო თემის ავტორები თსუ უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. მათ ნაშრომებს პირველ სტუდენტურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში “თსუ სტუდენტური მეცნიერება” თავად სტუდენტებმა – თსუ მეცნიერების ხელმძღვანელობით მოუყარეს თავი. უდაოდ საინტერესო გამოცემის პრეზენტაცია მიმდინარე კვირას შედგება და ჟურნალის პირველი ნომერიც საზოგადოების სამსჯავროზე გამოვა.

ჟურნალ “თსუ სტუდენტური მეცნიერების” რედაქტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი მარი ოთიაშვილი ასე იხსენებს ჟურნალის შექმნის პროცესს: “სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის შექმნის იდეა გასულ სემესტრში გამიჩნდა. პროექტი მივიტანე სტუდენტურ თვითმმართველობაში და დავიწყეთ იდეის განხორციელება. პირველი ნაბიჯების გადადგმაში ძალიან დაგვეხმარა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, განსაკუთრებით კი ბატონი გიორგი გაფრინდაშვილი, რომელსაც სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის შექმნის იდეა უკვე დიდი ხანია ჰქონდა. სანამ ჟურნალზე აქტიურ მუშაობას დავიწყებდით, გავესაუბრეთ პროფესიონალებს: სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსს ბატონ გიორგი ღვედაშვილს, უნივერსიტეტის ყვე-

***გაგრძელება მე-3 გვ.***

95

იარე ჩვენთან ერთად

# “შემოდგომის ლეგენდა 2013”

***სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის 12 ფინალისტი წინანდალში***



***თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის მიმართულების სტუდენტი ანი ლაზვიაშვილი უკვე მესამე წელია რაც სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსში “შემოდგომის ლეგენდა” მონაწილეობს. როგორც თავად ამბობს: “უბრალოდ არ შეუძლია არ მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში. წელსაც ბოლო წუთამდე იკავებდა თავს, თუმცა ბოლოს ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო და თავისი საკონკურსო ნაშრომი ბოლო დღის მიწურულს გამოაგზავნა. ამ კონკურსს წლიდან წლამდე ელოდება და თავისი სტუდენტური ცხოვრება “ლეგენდის” გარეშე ვეღარც წარმოუდგენია”.***

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი “შემოდგომის ლეგენდა” ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

გვ. 4

# „მის ელეგანტურობა 2013“ თსუ-დან

თსუ-ს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტმა, 20 წლის ანანო ჯიღაურმა საქართველოს უნივერსიტეტებს შორის გამართულ სილამაზის კონკურსზე „მის ელიგანტურობის“ სტატუსი დაიმსახურა. ამისათვის მან ბევრი პრიზი და თსუ-ს ადმინისტრაციისგან ფულადი ვაუჩერი მიიღო. თუმცა თვითონ თვლის, რომ „მხოლოდ გარეგნობა ადამიანში არაფერია“. სასიამოვნო ტიტულის მიღების შემდეგაც ცხოვრებას და



გვ. 4

### მრჩეველთა საბჭოს სხდომა თსუ-ში



5 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის მრჩეველთა საბჭოს განახლებული შემადგენლობის პირველი სხდომა გაიმართა. თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში არიან ცნობილი მეცნიერები: ნუგზარ ალექსიძე, თამაზ გამყრელიძე, გიორგი გოგოლაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, ჯემალ მებონია, შოთა ქისტაური, მზექალა შანიძე, ოთარ ჯაფარიძე, ლეო ჩიქავა და შოთა ცხოვრებაშვილი.

### ERASMUS MUNDUS-ის ახალი პროექტის EMBER-ის პრეზენტაცია

10 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის ახალი პროექტის EMBER-ის პრეზენტაცია გაიმართა. პროგრამა საშუალებას აძლევს ყველა საფეხურის სტუდენტებს, ახალგაზრდა მკვლევრებსა და უნივერსიტეტის აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება ევროპაში აკადემიური სწავლით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ERASMUS MUNDUS-ის პროექტებში 2007 წლიდან ჩაერთო. ამ ხნის განმავლობაში საგანმათლებლო-გაცვლით პროგრამაში უკვე 200-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

### მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში“



14 ოქტომბერს ივანე ჯავახშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში“ გაიმართა. კონფერენცია ტრადიციულია და თსუ-ში 2001 წლიდან ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. თავდაპირველად მისი სახელწოდება იყო „ფიზიკა მომავალ კოლაიდერებზე“. მას შემდეგ, რაც 2009 წელს დიდი ადრონული კოლაიდერი გაიშვა, კონფერენციას შეეცვალა სახელი და დაერქვა „ფიზიკა დიდი ადრონული კოლაიდერის ერაში“. კონფერენციაში საქართველოსა და საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები, მათი უცხოელი კოლეგები, CERN-ის (ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრი) და დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

### კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“



23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგთა III საერთაშორისო კონგრესი „მულტიკულტურიზმი და ტოლერანტობა კავკასიაში“ გაიხსნა. რომელშიც 15 ქვეყნის 200-ზე მეტი მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. კონგრესის მიზანია კავკასიის, როგორც მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით განსაკუთრებული რეგიონის შესახებ არსებული ცოდნის გაღრმავება და სამეცნიერო დისკუსიის მოწყობა; რეგიონში ამ მიმართულებით მოღვაწე მკვლევართა ინტეგრაცია; კავკასიოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკის გამოკვეთა; პრობლემათა მეცნიერული საფუძვლების განხილვა და მათი გადაჭრის გზების დასახვა; ხელი შეუწყოს კავკასიელ ხალხებს შორის გარკვეული მიზეზების გამო გაჩენილი გაუცხოების გადალახვას, ახლახან აღდგენილი სამეცნიერო ურთიერთობების გაღრმავებას, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას, საერთაშორისო კავკასიოლოგიური სამეცნიერო ცენტრებისა და კავკასიის შემსწავლელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების ინტეგრირებას, მეცნიერთა დაახლოებას, მშვიდობის დამყარებას კავკასიაში.

# TEMPUS-ის პროგრამით თსუ-ს 11 პროექტი დაფინანსდა

*პირველი გვერდიდან*

პროგრამა, რომლის მიზანიც უნივერსიტეტების მხარდაჭერაა. კერძოდ, ამ უმაღლესი სასწავლებლების განვითარება, ახალი მენეჯერული სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაა. თსუ საქართველოში პირველი უმაღლესი სასწავლებელი იყო, რომელიც აქტიურად ჩაერთო ტემპუსის პროგრამის განხორციელებაში.”

ლიკა ღლონტის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღემდე განხორციელებული და მიმდინარე პროექტების საერთო რიცხვი ოცდაოთხია. ამ დროისთვის მიმდინარეობს 9 პროგრამა. წელს 1 დეკემბერიდან კი 11 პროექტით ახალი ციკლი დაიწყება.

„ორი წლის წინ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების უნივერსიტეტებს მიეცათ შესაძლებლობა ყოფილიყვნენ პროექტის კოორდინატორები. თსუ ამჟამად უკვე სამი პროექტის კოორდინატორია.

ეს ნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არ მხოლოდ ამ პროექტის მიმღები, არამედ მისი განმკარგავიც არის. შესაბამისად, იგი გარკვეულწილად პასუხისმგებელია ამ პროგრამის განხორციელებაზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პარტნიორ ქვეყნებშიც. ეს კი ევროკავშირის ჩვენდამი ნდობის დამადასტურებელია. ტემპუსის პროექტების რაოდენობის მიხედვით საქართველო 27 ქვეყნიდან მესამე ადგილზეა და მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას ჩამორჩება. ეს იმის დასტურია, რომ გვენდობიან როგორც კოორდინატორს და, გარდა ამისა, აქ არსებობს თანხების ათვისების შესაძლებლობა. ამ 11 პროექტს რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ ისინი ყველა სფეროს ფარავენ.” – აცხადებს ტემპუსის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლიკა ღლონტი.

ახლად დაფინანსებულ პროექტებს შორის არის: “მულტიდისციპლინარული ინოვაციური ცენტრების დანერგვა ბიოლოგიასა და მედიცინაში ვირტუალური ლაბორატორიების განვითარებისთვის”; ”ევროპულ სწავლებათა ინოვაციური სწავლება და შესწავლა”; “კავკასიაში პროექტის მონაწილეთა შესაძლებლობების ტრენინგი”; ორწლიანი საერთო სამაგისტრო პროგრამის შემუშავება საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში “ევროპულ ინტეგრაციასა და შრომითი ურთიერთობების საკითხზე”; “ჰემატოლოგიის კურიკულუმის შემუშავება და დანერგვა რეგიონული სასწავლო პლატფორმისთვის სიცოცხლის მეცნიერებებსა და მედიცინაში” და სხვა.

საქართველოში ტემპუსის პროექტების რაოდენობის გაზრდა გარკვეულწილად ევროკავშირის გაზრდილი დაფინანსებითაც არის განპირობებული, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან “ტემპუსის” ეგიდით მიმდინარე პროექტებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს უკავია. ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელის თეა გერგედავას განცხადებით, “ტემპუსის” პროექტების მეშვეობით ხორციელდება არა მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის, არამედ მთლიანად სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია და მისი ცნობადობის გაზრდა.

“დაფინანსებული პროექტები ითვალისწინებს პროგრამების განვითარებას კონკრეტული მიმართულებით. მათ შორის არის “ლაიფ ლონგ ლერნინგი”, რომელიც გულისხმობს სწავლას მთელი სიცოცხლის მანძილზე. მაგალითად, არის პროექტი ჰუმანიტარული მიმართულებით ორენოვანი სასწავლო პროგრამის შემუშავების შესახებ, პროექტის მონაწილე უმაღლესი სასწავლებლებისთვის.

ამ მხრივ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მაგალითად, წელს მოგებული პროექტებიდან ერთ-ერთი, რომელიც მენეჯმენტის საკითხში ადმინისტრაციის თანამშრომელთა უნარების ამაღლებას ითვალისწინებს. მის ფარგლებში გათვალისწინებულია მენეჯმენტის ოფიციალური სასწავლო კურსი, თავისი საერთაშორისო დონის სერთიფიკატით. არის პროექტები, რომელიც მიმართულია უშუალოდ თსუ ინტერნაციონალიზაციის და ცნობადობის გაზრდისაკენ. ამას გარდა, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი კურატორობას უწევს რამდენიმე პროექტს, რომელთა შორის არის პროექტი “საქართველოში სტუდენტთა საკარიერო ცენტრების განვითარების შესახებ”, რომელიც ვილნიუსის უნივერსიტეტის კოორდინირებით ხორციელდება; ასევე პროექტი უმაღლესი განათლების საკითხში ცვლილებების მართვის თაობაზე, რომელიც ეხება ინტერნაციონალიზაციის კუთხით მიმდინარე ცვლილებებს უმაღლეს სასწავლებლებში და ბულგარეთის დობრიჩის უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება”. – აცხადებს თეა გერგედავა.

# „თსუ სტუდენტური მეცნიერება“ №1

*პირველი გვერდიდან*

ლა ფაკულტეტის დეკანს, მათაც, ვისაც მსგავსი ჟურნალების გამოცემის გამოცდილება აქვთ და მათგან რჩევები და სხვადასხვა სახის დახმარება მივიღეთ.

მაქსიმალურად შევეცადეთ სტატიების მიღების და შერჩევის პროცესი დაგვეხვეწა. სტატიის მიღების პროცედურა ასეთია: სტუდენტი ჩვენთან აგზავნის სტატიას ინგლისური აბსტრაქტით და ლექტორის რეკომენდაციით. ამ დოკუმენტების გარეშე სტატია არ მიიღება. შემდეგ ეტაპზე ჟურნალის სამუშაო ჯგუფი სტატიებს აშორებს ავტორის სახელს და გვარს და აგზავნის ფაკულტეტზე სამეცნიერო საბჭოებში. კოდირებულ სტატიებს ასწორებენ საფაკულტეტო საბჭოები და წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებენ ასბალიანი სისტემით. ამ პროცედურის შემდეგ გვიგზავნიან უკან. მიღებული სტატიებიდან ჩვენ ვარჩევთ ყველაზე მაღალი ქულების მქონე სტატიებს, ვასწორებთ სტილისტურად და ვბეჭდავთ ჟურნალში.

ჟურნალის პირველ ნომერზე ვიმუშავეთ მთლიანად სტუდენტებმა და ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ დაკისრებულ მოვალეობას გავართვით თავი და ჩვენი ნამუშევარი წარმატებით დაიბეჭდა”.

ჟურნალის გამოცემას მიესალმება თსუ რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა. იგი იმ დროსა და ემოციას იხსენებს, სტუდენტურ სამეცნიერო გამოცემაში პირველი თეზისები რომ გამოაქვეყნა: “ძალიან კარგია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი გამოდის. უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ სასწავლო ცენტრი, ის არის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, უნივერსიტეტი არ არის უბრალოდ განათლებული ადამიანების სამჭედლო, ის მეცნიერთა სამჭედლოცაა. განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ სამეცნიერო კვლევაში. აქედან გამომდინარე, ჩემთვის პრინციპულია, რომ ახალგაზრდების ნიჭიერი ნაწილი იყოს გამოვლენილი. მათი გამოვლენის ყველაზე კარგი მასტიმულირებელი ფორმა კი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაა, როდესაც ახალგაზრდა დაინახავს, რომ მისი ნაფიქრი და ნაღვაწი დაიბეჭდა. მე მახსოვს ჩემი პირველი თეზისები, რომლებიც პირველ კურსზე გამოქვეყნდა. მახსოვს როგორ დავინახე პატარა ბროშურაში ერთგვერდიანი თეზისები, სადაც ჩემი სახელი და გვარი ეწერა, როგორი სიამაყის განცდა მქონდა 18 წლის ახალგაზრდას. სხვათა შორის, ჩემი შრომების სია სწორედ იმ პირველი თეზისებით იწყება. ამიტომ სტუდენტური ჟურნალის გამოცემას მე მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. ამასთანავე, მინდა აღვნიშნო, რომ კარგი ფორმატია მოფიქრებული, რომ ეს ჟურნალი მათი პროფესორების კურატორობის ქვეშ გამოიცემა. ეს დაეხმარება მათ შეირჩეს მართლაც ისეთი სტატიები, რომელთაც სამეცნიერო ფასეულობა გააჩნია და, ამდენად, მიზანშეწონილია დაიბეჭდოს. ახალგაზრდებს კი მინდა ვუსურვო წარმატება მათ სამეცნიერო საქმიანობაში”. – აღნიშნავს თსუ რექტორი.

სწორედ დიდ მოტივაციის გაჩენაზე საუბრობს ჟურნალში „თსუ სტუდენტური მეცნიერება“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი თემის ავტორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი მარიამ ჯაფარიძე: „ვფიქრობ, რომ სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი “თსუ სტუდენტური მეცნიერება” არის საუკეთესო საშუალება სტუდენტებისთვის გადადგან პირველი ნაბიჯები შედარებით მაღალი დონეებისკენ. მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ჟურნალისთვის შერჩეულ სტატიებს ასწორებენ და არჩევენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ლექტორები, რომელთა აზრიცა და მხარდაჭერაც საკმაოდ დიდ სტიმულს აძლევს სტუდენტებს. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ეს ჟურნალი ძალიან დიდ გამოცდილებას მისცემს თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც დაიხარჯება და მთელი ძალისხმევით იბრძოლებს ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის. მიხარია, რომ ერთ-ერთი იმ სტუდენტთაგანი ვარ, რომლის სტატიამაც დაიმსახურა ადგილი “თსუ სტუდენტურ მეცნიერებაში“. ნამდვილად, ჟურნალმა მომცა მე იმის სტიმული, რომ ვწერო და ჩემი სტატიები გავუზიარო საზოგადოებას“.

ჟურნალი „თსუ სტუდენტური მეცნიერება“ წელიწადში ორჯერ – ყოველ სემესტრში გამოვა და სტუდენტებს მათი შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებას მომავალშიც მისცემს.

# საბავშვო უნივერსიტეტი – სიახლეები მოსწავლეებისთვის

***პირველი გვერდიდან***

დაეთმო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების და განვითარების ისტორიას, რომელიც აკადემიკოსმა პაატა კოღუაშვილმა წაიკითხა.

ნორჩ ეკონომისტთა სკოლა ყოველ შაბათს 12:00 სთ-ზე უმასპინძლებს მსმენელებს უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში 206-ე აუდიტორიაში.

სასწავლო წლის განახლებისთანავე, საბავშვო უნივერსიტეტმა კიდევ რამდენიმე საინტერესო პროექტის განხორციელება დაიწყო, თუმცა, როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მარინა ლომოური აღნიშნავს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტი – ,,გააცანი შენი პროფესია“, რომელიც არაქართულენოვან სკოლებთან მუშაობას გულისხმობს.

,,ჩვენი მიზანია, განსაკუთრებით დიდი ყურადღება დავუთმოთ არაქართულენოვან მოსწავლეებს, რომ მათ უკეთესად შეძლონ ადაპტირება არსებულ რეალობასთან. ამიტომ ლექციების კურსი გვაქვს როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. საბავშვო უნივერსიტეტის მიერ მოწვეული ლექტორები ლექციების კურს წაიკითხავენ მარნეულის და ახალქალაქის მოსწავლეებისთვის. ვეცდებით, თემები შერჩეული იყოს მათთვის საინტერესო საკითხებზე. “ – ამბობს მარინა ლომოური.

რომელიც სკოლის პროგრამას შეესაბამება. ჩვენი პროფესორები მუშაობენ იმაზე, რომ სკოლაშივე გაიცნონ და აითვისონ ბავშვებმა ექსპერიმენტალური ფიზიკის ელემენტები. ასევე ხდება ქიმიაში. ძალიან საინტერესოა გეოგრაფიის ლექციები, რომლის შემდეგაც ეწყობა ექსკურსიები. მოსწავლეები ეცნობიან ეკოლოგიურ პრობლემებს. ბევრი პროგრამა აქვთ ეკონომისტებს. საბავშვო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს ,,ნორჩ ეკონომისტთა სკოლა“, სადაც ყოველ წელს მოდის 80-100 მოსწავლე, რომლებიც შაბათ-კვირას სისტემატურად ესწრებიან ლექციებს, ირჩევენ გარკვეულ თემებს, რომლებსაც ბოლოს წარადგენენ კონფერენციაზე. ეს არის პროფესიის სერიოზული გაცნობა. ამ სკოლის კოორდინატორია მარი უკლება. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში ფაკულტეტის მთელი პროფესურაა ჩართული. სხვათა შორის, ,,ნორჩ ეკონომისტთა სკოლაში“ ლექციები წაიკითხეს მინისტრებმაც – ნოდარ ხადურმა და დავით ნარმანიამ. მოზარდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ავტორიტეტულ პიროვნებებთან აქვთ უშუალო კონტაქტი. აქედან გამომდინარე, ამ სკოლის მოსწავლეები ეკონომისტის პროფესიას ირჩევენ არა ბრმად, არამედ გაცნობიერებულად.

რაც შეეხება იურიდიულ საკითხებს, აქ



*რუსთავის საბავშვო უნივერსიტეტის სკოლაში*

საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელის თქმით, უნივერსიტეტი აგრძელებს მუშაობას და ამრავალფეროვნებს პროგრამებს, რომლებიც დაეხმარება როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას ცოდნის დაუფლებაში.

,,თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი“ 2007-08 წლებში, საქართველოში პირველად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა. რომელიც 2011 წელს ევროპის უნივერსიტეტების საბავშვო უნივერსიტეტების გაერთიანებაში (EUCU NET – the European Children's Universities Network http://eucu.net/) გაწევრიანდა.

,,EUCU NET-ის დეკლარაციაში ვკითხულობთ – უპირველესი მიზანი, რამაც ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება განაპირობა, არის თანამედროვე, დემოკრატიული, საუნივერსიტეტო ევროპის რწმენა, რომ ყველა ბავშვს, განურჩევლად მისი ეროვნების, სარწმუნოების და სოციალური წარმომავლობისა, უნდა ჰქონდეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ცივილიზებული საზოგადოება მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი სახელმწიფოსათვის უაღრესად ფასეულ სტრატეგიულ რესურსს წარმოადგენს, დიდწილად უფრო მნიშვნელოვანს, ვიდრე წიაღისეული ან სხვა ბუნებრივი რესურსია. ხოლო სწავლის სურვილის, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივება კი სწორედ საბავშვო უნივერსიტეტების საქმიანობის უშუალო ამოცანას წარმოადგენს“ – როგორც თსუ–საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მარინა ლომოური აცხადებს, პირველი ქართული ,,თსუ საბავშვო უნივერსიტეტის“ მიზანიც სწორედ ეს გახლავთ.

,,ჩვენ გვინდა სკოლის მოსწავლე დავაახლოვოთ უნივერსიტეტთან. გავაცნოთ, სკოლის პერიოდშივე უნივერისტეტი, რომ მისთვის არ იყოს იგი ერთის მხრივ მიუწვდომელი და მეორეს მხრივ – რთული და უინტერესო. ბოლო წლებში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში შეიმჩნევა სასკოლო განათლების დეფიციტი. როდესაც უნივერსიტეტელი ლექტორი მოზარდს ლექციას უკითხავს (რა თქმა უნდა, იგი ანგარიშს უწევს, მისი რეალური ცოდნის დონეს, რომ მოსწავლისთვის გასაგები იყოს), ეს სასარგებლოა არა მარტო მოსწავლისთვის, არამედ მასწავლებლისთვისაც. არის მთელი რიგი მეცნიერებები, რომლებშიც საბავშვო უნივერსიტეტი მოსწავლეებს სთავაზობს სალექციო კურსს. მაგალითად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია. ფიზიკაში არის როგორც თეორიული ნაწილი, ასევე, თსუ-ში ფუნქციონირებს ლაბორატორია სახელწოდებით ,,საბავშვო უნივერსიტეტი“. აქ არის შეთავაზებული ისეთი ცდები და კვლევები,

განსხვავებული მიდგომა გვაქვს. თსუ-ს დოქტორანტი იურისტები მიდიან სკოლებში, ლექციებს კითხულობენ ყველა მოსწავლისთვის, აქტუალურ საკითხებზე. რატომ არის ასეთი განსხვავება? ყველა პროფესიას და საგანს თავისი სპეციფიკა აქვს. მაგალითად, როდესაც ჩვენ ფიზიკის ლექციებს ვკითხულობთ, ვარჩევთ იმ მოსწავლეებს, რომლებიც კარგად სწავლობენ და აინტერესებთ ეს საგანი. მაგრამ, როდესაც იურისპრუდენციაში, მოსწავლის სამართლებრივ საკითხებზეა საუბარი, ეს ყველამ უნდა მოისმინოს, რადგან აქ არის არა მხოლოდ პროფესიის გაცნობა, არამედ, ეს მნიშვნელოვანია მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის. იმ მოსწავლეებს, რომელბიც ცუდად სწავლობენ, შეიძლება მიდრეკილება ჰქონდეთ არასწორი ცხოვრების წესისკენ, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია ლექციები სხვადასხვა დანაშაულებებზე, რათა ინფორმირებულები იყვნენ. ერთი სიტყვით, ვარჩევთ ურთიერთობებში მიდგომას და ფორმას და ვითვალისწინებთ იმას, თუ რა სფეროზეა საუბარი,“ – ასე ხსნის მარინა ლომოური საბავშვო უნივერსიტეტის ფუნქციას და მიზანს, რომელიც, მიუხედავად ამ დაწესებულების რამდენიმეწლიანი მოღვაწეობისა, შეიძლება ითქვას, რომ მიღწეულია.

როგორც საბავშვო უნივერსიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, დღითი-დღე იზრდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სურთ თსუ მეცნიერების და პროფესორების ლექციების მოსმენა ამა თუ იმ საგანში.

საუნივერსიტეტო და სასკოლო ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესებში; თსუ სტუდენტთა მომსახურების ცენტრების მუშაობა; თსუ პროფესორებისა და თანამშრომლების მოკლე ინფორმაციები საბავშვო უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ; საუნივერსიტეტო და სასკოლო ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობით პროცესებში და ა.შ. ეს მოკლე ჩამონათვალია იმ პროექტებისა, რომლის განხორციელებაც საბავშვო უნივერსიტეტმა ახალი სასწავლო წლიდან დაიწყო.

,,ჩვენ არ ვაფასებთ და არ ვერევით სასკოლო პროცესში. ამის არც მორალური, არც ფორმალური და იურიდიული უფლება გვაქვს. სკოლას აქვს უზარმაზარი ამოცანები და ამას თვითონ ართმევს თავს. თსუ-ს ლექტორების ლექციები რომელიმე საგანში, არის არა ტიპური გაკვეთილი, არამედ ჩვენ ამ საგანში მოსწავლეებს და მასწავლებლებსაც ვაწვდით იმ ცოდნას, რომელიც მათ თვალსაწიერს გაზრდის, ამ საგნით დავაინტერესებთ, ინტელექტს განვუვითარებთ.“ – აცხადებს მარინა ლომოური.

# სიახლეები

* * *

25 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემიგრაციის მუზეუმს საქართველოს პირველი პარლამენტის – საქართველოს ეროვნული კრების წევრის მიხეილ ყაუხჩიშვილის არქივის ნაწილი გადაეცა. მუზეუმს ყაუხჩიშვილის არქივი ემიგრანტის შვილიშვილმა ელენე ყაუხჩიშვილმა და რძალმა ფრანჩესკა მელცი-ყაუხჩიშვილმა გადასცეს. მათ ცნობილი ქართველი მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილის (მიხეილ ყაუხჩიშვილის ძმა) შვილიშვილმა ლია ჯინორიამ და სიძემ რისმაგ გორდეზიანმა უმასპინძლეს.

* * *

25 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მასობრივი კამპანიის – საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის ,,ჩემი სამყაროს“ მთავარი ღონისძიება. გამოკითხვის მიზანია გაარკვიოს, თუ როგორ სამყაროში სურთ ცხოვრება ადამიანებს და რა საკითხებია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს უპრეცედენტო საერთაშორისო პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოს 194 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. გამოკითხვის მონაწილეები ავსებენ კითხვარს და 16 ჩამოთვლილი საკითხიდან ირჩევენ პირადად მათთვის მნიშვნელოვან ექვს პრიორიტეტს. გამოკითხვის პირველადი შედეგების განხილვა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე შედგება. ადგილობრივი კამპანია ხელს შეუწყობს საქართველოს წარმოჩენას ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე.

* * *

27 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართელოში ჩეხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ივან ესტრაბიმ საჯარო ლექცია წაიკითხა. ლექციაზე ელჩმა საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ ურთიერთობებზე, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ საკითხებზე და იმ პროგრესზე ისაუბრა, რომელიც ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით არის მიღწეული.

* * *

27 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა წიგნის ,,სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში – რეალური ვირტუალურის ძალაუფლება?“ პრეზენტაცია. ნაშრომი შექმნილია ორწლიანი სამეცნიერო პროექტის საფუძველზე, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) მხარდაჭერით. პროექტის ხელმძღვანელია თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი სოციოლოგიის მიმართულებით ლია წულაძე. პროექტი მოიცავს სოციალური კვლევებისა და იურიდიული ანალიზის შედეგებს.

.

* * *

30 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტმა მთარგმნელის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამეცნიერო კონფერენცია ,,თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები“ გამართა. კონფერენციის დასრულების შემდეგ სამაგისტრო პროგრამის ,,თარგმანის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის“ კურსდამთავრებულთა ,,მთარგმნელის ფიცის“ (ნეტარი იერონიმეს ფიცის) დადების საზეიმო ცერემონია და ფოტოგამოფენა «X IX საუკუნის ქართველი მთარგმნელები“ გაიმართა.

* * *

30 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა მე-9 საერთაშორისო საზაფხულო სკოლა ლოგიკასა და ენაში თბილისი 2013. საზაფხულო სკოლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ,,კურტ გიოდელის საზოგადოებისა“ და სორბონის უნივერსიტეტის ხელშეწყობით გაიმართა. პროგრამის მიზანია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა გაერთიანება და მათ შორის ინფორმაციის გაცვლა.

* * *

30 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო სტუდენტური ჟურნალის ,,გზავნილის“ პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი ,,გზავნილი“ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტების მიერ მომზადდა.

* * *

30 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინდონეზიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინაში (აკრედიტებულია საქართველოში), ქ-ნმა ნინიეკ კუნ ნარიატი გამართა ლექცია-სემინარი ,,ინდონეზიის როლი რეგიონში“.

* * *

1 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის (თსუ – ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტი) ფარგლებში საერთაშორისო სემინარი გაიმართა თემაზე – ლიტერატურული თარგმანი. სემინარი ცნობილი ქართველი მთარგმნელის დალი ფანჯიკიძის შემოქმედებას მიეძღვნა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა წიგნის პრეზენტაცია.

* * *

3 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულმა ფირმამ იურიდიული ფალკულტეტის სტუდენტს სასწავლო სტიპენდია გადასცა. იურიდიულმა ფირმამ მიმდინარე წელს თსუ იურიდიული ფაულტეტის სტუდენტთათვის 1 წლის ვადით სასწავლო სტიპენდია დააწესა. სტიპენდიის ოდენობა თვეში 100 ლარს შეადგენს. აღნიშნული სტიპენდიის შესახებ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს თსუ-ში გამართულ საჯარო შეხვედრაზე ეცნობათ, რომელსაც MKD-ის მმართველი პარტნიორები ესწრებოდნენ.

* * *

5 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საჯარო დისკუსია – საყდრისის მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხიდან ამოღების თაობაზე. ღონისძიებაში ამ თემაზე მომუშავე ექსპერტები და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

* * *

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ორგანიზებით, ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,იდენტობა საქართველოში გლობალიზაციის გარიჟრაჟზე“ საერთაშორისო ვორქშოპი გაიმართა.

# სიახლეები

* * *

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა ლიტვის სეიმის წევრს ბენედიკტას იოტკასს შეხვდა. ლიტველი დეპუტატი წლების განმავლობაში ვილნიუსის უნივერსიტეტის რექტორი იყო. სწორედ მისი რექტორობის პერიოდში ამოქმედდა გაცვლითი პროგრამები თსუ-სა და ვილნიუსის უნივერსიტეტს შორის. შეხვედრაზე საუბარი სამეცნიერო კვლევებს, გაცვლით პროგრამებსა და სამომავლო ურთიერთობებს ეხებოდა.

* * *

8 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩიტო რუხაძის წიგნის „ფამადიჰანა“ (ქართული აკადემიური წიგნი, თბილისი 2013) პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა “არტლაინსმა“. ფრანგულიდან თარგმნა ლია რუხაძემ.

* * *

11 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“. ღონისძიება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრისა და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა. სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები იტალიიდან, შვეიცარიიდან, ჰოლანდიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან;

* * *

12 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, დოქტორ ჰანს ულრიჰ ზაიდთის შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში დოქტორ ჰანს ულრიჰ ზაიდთმა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების (გეოგრაფიის მიმართულების) ხელმძღვანელებსა და პროფესორებთანაც გამართა შეხვედრა.

* * *

სტომატოლოგიაში ახალი თაობის იმპლანტებზე, თანამედროვე სტომატოლოგიის შესაძლებლობებსა და საქართველოში მათი დანერგვის პერსპექტივებსა და პრობლემებზე ისაუბრეს 12 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სტომატოლოგიურ კონფერენციაზე „დენტალ თბილისობა 2013“.

* * *

15 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ბიბლიოთეკასთან არსებული შემეცნებითი კლუბის ინიციატივით გაიმართა დისკუსია თემაზე: „ეკლესია და თანამედროვეობა“ – დეკანოზ პეტრე კვარაცხელიასთან ერთად.

* * *

17 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ლატვიის უნივერსიტეტის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის წევრები თსუ რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას და რექტორის მოადგილეს, პროფესორ მარინე ჩიტაშვილს შეხვდნენ და განიხილეს უნივერსიტეტებს შორის სამომავლო თანამშრომლობის საკითხები.

* * *

18 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსთან“ თანამშრომლობის ფარგლებში, ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების საakრედიტაციო საბჭოს (ABET Foundation) ექსპერტებმა ჩაატარეს სემინარი თემაზე „ABET-ის აკრედიტაციის სტანდარტები და მიღების პროცედურები“ (Criteria and procedures for ABET accreditation). საქართველოში ABET Foundation-ის წარმომადგენლების ვიზიტის მიზანია სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული და სამეცნიერო/ინფრასტრუქტურული მდგომარეობის შესწავლა და საბუნებისმეტყველო და საინჟინრო პროგრამების საერთაშორისო ABET-აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრა. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო“ აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში. ჩატარებული კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საქართველოში ამერიკული პარტნიორი უნივერსიტეტების საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების პროგრამების შერჩევისთვის. კვლევის შედეგები ასევე მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მათი პროგრამული განვითარების სრულყოფისა და გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვა-განხორციელების ჭრილში.

* * *

23 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ღვაწლმოსილი პროფესორის, ბატონი ბესარიონ ზოიძის ესეების კრებულის – ”სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა” პრეზენტაცია.

# „შემოდგომის ლეგენდა“ – 2013

პირველი გვერდიდან

სიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენა და მათთვის გზის გაკვალვაა. წელს იგი უკვე მეხუთედ იმართება. 23 ოქტომბერს, 11:00 საათზე, კახეთში, ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში „შემოდგომის ლეგენდა 2013“-ის იმპროვიზაციული ტური გაიმართა. კონკურსის 12 ფინალისტს, 8 საათის განმავლობაში, ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე ახალი ნაწარმოებების შექმნა დაევალა.

ლიტერატურული კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება. წესისამებრ, კონკურსში თბილისში აკრედიტებული სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. I ტური სწავლის დაწყების დღიდან, 16 სექტემბერიდან სამი კვირის განმავლობაში ტარდებოდა. 325 კონკურსანტიდან შიდა შესარჩევმა ჟიურიმ წელს 12 ფინალისტი გამოავლინა, აქედან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 9 და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის – 3 სტუდენტი.




კონკურსის საიუბილეო წელთან დაკავშირებით კომპანია „ჯეოსელმა“ კონკურსის მასშტაბები გაზარდა და ყველა მსურველს ფინალურ ტურში ჩართვა შესთავაზა. სპეციალური აპლიკაციის საშუალებით, ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე, 8 საათის განმავლობაში ახალი ნაწარმოების შექმნა, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან ლიტერატურის ყველა მოყვარულს შეეძლო. ლიტერატურულ მარათონში ჩართვის მსურველთა რეგისტრაცია 23 ოქტომბრამდე კომპანია „ჯეოსელის“ ფეისბუქის გვერდზე მიმდინარეობდა.

იმპროვიზაციულ ტურში საუკეთესოთა შორის სამი საუკეთესოს გამოვლენა კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შემავალ თანამედროვე ქართველ მწერლებს: დავით ტურაშვილს, თეონა დოლენჯაშვილს, მაკა ლდოკონენს, გიორგი კეკელიძეს, ეკა ტოგონიძეს და დათო გორგილაძეს დაეკისრათ. ჟიურის მეექვსე წევრი გასული წლის გამარჯვებული სტუდენტია. აღნიშნული ტრადიცია ორი წლის წინ ჩამოყალიბდა. კონკურსის ორგანიზატორების გადაწყვეტილებით ყოველ წელს პირველი ადგილის მფლობელი ავტომატურად მომდევნო წლის ჟიურის წევრი ხდება.

რაც შეეხება სხვა ჯილდოებს, გამარჯვებულ სამეულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული ფულადი პრემია გადაეცემა. I ადგილის მფლობელი 1000 ლარის, II – 700 ლარის, ხოლო III ადგილზე გასული კონკურსანტი 500 ლარის ოდენობის ფულად ჯილდოს მიიღებს. გამარჯვებული მონაწილეები კომპანია „ჯეოსელის“ სპეციალური პრიზებითაც დაჯილდოვდებიან.

თორმეტი ფინალისტიდან რამდენიმესთან გასაუბრება ჩვენ იმპროვიზაციული ტურის დაწყებამდე მოვახერხეთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტუდენტებს ამ კონკურსში მონაწილეობა ყოველწლიურად შეუძლიათ. შესაბამისად, უკვე “სტაჟიანი” მონაწილეების გვერდით ახალბედებიც არიან. ერთ-ერთი თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების მესამე კურსის სტუდენტი ნინო მოდებაძეა. იგი აღიარებს, რომ მეტ–ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაშრომი პირველად ერთი წლის წინ დაწერა და მას შემდეგ ამ კონკურსზე გამოსაგზავნი მოთხრობის გარდა არაფერი დაუწერია. შესაბამისად, არ იცის ახალი მოთხრობის შესაქმნელად 8 საათი ეყოფა თუ არა. თუმცა, იმედი აქვს რომ ჟიურის დავალებას თავს გაართმევს და მოთხრობას უფრო ოპერატიულად დაწერს, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ჯერზე მოთხრობას 3 დღე წერდა. წლევანდელ კონკურსში მონაწილე ორ თანაკურსელს კონკურენტებზე მეტად მეგობრებად აღიქვამს. მართალია, გამარჯვების სურვილი სხვა მონაწილეთა მსგავსად მასაც აქვს, მაგრამ, როგორც ამბობს, ყველაფერს მაინც უფრო სასიამოვნო პროცესის სახით უყურებს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგი სტუდენტი რატი წერომე კი “ცდილობს რაც შეიძლება ბევრ ლიტერატურულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა, რადგან შეჯიბრის პროცესის გამო გარკვეულ სიამოვნებას გრძნობს”. შარშან ეს კონკურსი მისთვის აღმოჩენა გახდა და მესამე საპრიზო ადგილიც დაიკავა. თვლის, რომ ამ კონკურსის ფინალში გასვლა უკვე გამარჯვებაა. შარშანდელი კონკურსის დროს ყველაფერი მოეწონა, გარემოთი დაწყებული, დავალების მიცემის და წერის პროცესით დამთავრებული. როგორც ამბობს, მოწყენის დრო და საშუალება ნამდვილად არ ჰქონია. ფიქრობს, რომ წელს უკეთესად დაწერს. მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, უკვე იცის, თუ როგორ გაანაწილოს დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო და ამიტომ ადრინდელი შეცდომების გამოსწორებასაც აპირებს. მეორე ტურში გასული თორმეტივე კონკურსანტის ნაწერს გაეცნო და ყველა თავისებურად საინტერესოდ მიაჩნია. შესაბამისად, მეორე ტურში გადასული ყველა მონაწილე - ღირსეულ კონკურენტად. მართალია, უკვე საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელ კურსზეა, მაგრამ უნდა, რომ სტუდენტად კიდევ დიდხანს დარჩეს, ძირითადად იმის გამო, რომ “შემოდგომის ლეგენდაში” მონაწილეობა კიდევ ბევრჯერ მიიღოს.

# „მის ელეგანტურობა 2013“ თსუ-დან – ანანო ჯიღაური

პირველი გვერდიდან

სწავლას ჩვეულებრივად აგრძელებს და ბედნიერია იმით, რომ ჰყავს ბევრი მეგობარი.

ანანო ჯიღაურმა თბილისში 177-ე სკოლა დაამთავრა და ბავშვობის სურვილის შესასრულებლად სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გააგრძელა.

„თსუ-ში სწავლზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და სხვა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება არასდროს მიფიქრია. როდესაც ვუყურებდი უნივერსიტეტის პირველი და მეორე კორპუსის წინ შეკრებილ სტუდენტებს, საკუთარ თავს ვეუბნებოდი, რომ მეც ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გავხდებოდი. უნივერსიტეტში სწავლა ძალიან მომწონს. თუ სწავლა გინდა, ყველაფერია იმისთვის, რომ ნამდვილად ისწავლო,“ – გვიყვება ანანო ჯიღაური.

ჟურნალისტობაც მისი ბავშვობის ოცნებაა. როგორც ამბობს, სკოლაშივე აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. გამოდიოდა სკოლაში გამართულ შიდა სილამაზის კონკურსებზე, იყო კონცერტების და სხვადასხვა ღონისძიებების წამყვანი და აქედან შეუყვარდა ჟურნალისტის პროფესიაც. დღეს ანანომ ზუსტად იცის, რომ მომავალში მუშაობას კულტურის სფეროში გააგრძელებს.

„პოლიტიკის მიმართულებით მომუშავე ჟურნალისტს სხვა მონაცემები სჭირდება. მე ეს თვისებები არ მაქვს. პოლიტიკა არ მაინტერესებს და არასდროს ვერევი. კულტურის სფერო ჩემთან უფრო ახლოსაა. მინდა ტელეჟურნალისტიკაში ვიმოღვაწეო, გავაშუქო შოუ-ბიზნესი, წიგნების გამოცემები და ა.შ.“

ანანო ჯიღაურმა ზუსტად იცის, თუ უნდა რამეს მიაღწიოს, კარგად უნდა ისწავლოს. რაც შეეხება თავისუფალ დროს, ძირითადად ფოტო-ხელოვნებას უთმობს. „მიყვარს როცა მე თვითონ ვიღებ ფოტოებს და როცა სხვა მიღებს. ადრე დავდიოდი იმიჯ-ცენტრში. ახლა გამოვედი, მაგრამ ფოტოგრაფებთან მაქვს კონტაქტი. სხვადასხვა პროექტებში და სარეკლამო გადაღებებში ვმონაწილეობ“ – ამბობს იგი.

მის ელეგანტურობას, როგორც ყველა თანამედროვე სტუდენტს, კიდევ ერთი გატაცება აქვს – facebook-ი, სადაც ორი გვერდი აქვს გახსნილი – ანანო ჯიღაური და “ჩემი ნაკვალევი“, აქვს ბლოგიც – ananojighauri.blogspot.com. სერიოზული მწერლობით ჯერჯერობით არ არის დაკავებული, მაგრამ საკუთარ გამონათქვამებს ინტერნეტის მეშვეობით უზიარებს მეგობრებს და ამისთვის დადებით შეფასებებსაც იმსახურებს.



გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge